ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2023 წლის 28 მარტის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2023 წლის 28 მარტის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №7

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

28 მარტი 2023 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

პაატა გოგოლაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

შალვა ლურსმანაშვილი - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე

პავლე კიკალიშვილი - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკ კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე - საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

ირმა ვეფხვაძე - საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისათვის" თავმჯდომარე.

ბიუროს სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა საკრებულოს წევრი - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის მოადგილე:

1. ირმა ვაქერ-სებისკვერაძე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ზურაბ ბანცაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატი:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მაია შათირიშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

სულიკო გლუნჩაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა.

დღის წესრიგი

1. 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. **მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურისათვის ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე.**

მომხს: ზურაბ ბანცაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის ზურაბ ბანცაძის ინფორმაცია საკითხზე - მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურისათვის ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

შალვა ლურსმანაშვილმა, რომელმაც კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს, თუ არსებითად რა შეიცვლებოდა წარმოდგენილი საკითხის დამტკიცების შემთხვევაში შეჩერებული მშენებლობების კონტროლთან დაკავშირებით, ვინაიდან მისივე თქმით კონტროლის განხორციელების უფლება ისედაც გააჩნია ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურს.

ზურაბ ბანცაძემ დასმულ შეკითხვას უპასუხა, რომ შეიცვლება კონტროლის წესი, კერძოდ სამსახური ვალდებული იქნება თვეში არანაკლებ ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აღნიშნული საკითხის 2023 წლის 29 მარტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე-11,

წინააღმდეგი-0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს საკრებულოს 2023 წლის 29 მატის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს რიგგარეშე სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**